21.08.13.

ღია კარის დღე სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის თბილისის ადამიანის უფლებათა სახლში

23 აგვისტოს 12:00 საათზე თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის საკონფერენციო დარბაზში „კონსტიტუციის 42-ე მუხლისა“ და ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები მოაწყობენ ღია კარის დღეს სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და ადამიანის უფლებათა ცენტრი ჩართული არიან თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის პროექტში - „უფასო იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის“.

ღია კარის დღეზე იურიდიული კონსულტაციისათვის დასწრება, უშუალოდ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოქალაქეების გარდა, ასევე შეუძლიათ: პატიმრების ოჯახის წევრებს, პრობაციონერებს, ძალადობისა და წამების მსხვერპლთ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, დევნილებს, პენსიონერებს, მარტოხელა დედებს და საზოგადოების სხვა მოწყვლადი ფენების წარმომადგენლებს.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს სამართლებრივ დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებზე უწევენ, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტები კი - სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

პროექტის ხანგრძლივობა 12 თვეა. მოქმედებს ცხელი ხაზი - სისხლის სამართლის საკითხებზე: 2 14 80 94; სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებზე: 2 18 04 71.

პროექტი ხორციელდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის - „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისთვის“ პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი დაფინანსებულია, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრი ორგანიზაციები არიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი; წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი; კონსტიტუციის 42-ე მუხლი; კავშირი საფარი; ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი - კავკასია; მედიის ინსტიტუტი.

მისამართი: საქართველო, თბილისი 0160 მელიტონ ქანთარიას 11ა. ტელ.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
ელ–ფოსტა: tbilisi@humanrightshouse.org, ვებ–გვერდი: www.HumanRightsHouse.org
Address: 11a Meliton Kantaria st. 0160 Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 790) 76 06 90, (+995 322) 30 77 66;
E-mail: tbilisi@humanrightshouse.org, Web: www.HumanRightsHouse.org